ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი

2012 წლის 03 დეკემბერი

ჩვენ ერთის მხრივ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტი (შემდეგში– უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის მანანა სანაძის სახით, კეთილ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე გამოვთქვამთ მზადყოფნას ამ მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთანამშრომლობის მიზანი

მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორებიცაა: აკადემიური უმაღლესი განათლების ფარგლებში სტუდენტების პროფესიული მომზადებისთვის ხელის შეწყობა, სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება, პრაქტიკული უნარ–ჩვევების გამომუშავება, კვალიფიციური კადრების მომზადება, საერთო ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების/კონფერენციების განხორციელება და ორგანიზება. თანხმდებიან, ითანამშრომლონ აღნიშნული მიზნების მისაღწევად და განახორციელონ ერთობლივი, ურთიერთ შეთანხმებული საქმიანობა.

მუხლი 2. ურთიერთანამშრომლობის ფარგლები

პირველ მუხლში დასახული მიზნის მისაღწევად მხარეთა ურთიერთანამშრომლობა მოიცავს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემას, სასწავლო პრაქტიკული მომზადების კურსი გაიარონ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში დასაქმების პერსპექტივით. აგრეთვე, მხარეებმა ერთობლივად განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები.

მუხლი 3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

3.1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი :

ა) უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში სასწავლო პრაქტიკის გავლის ორგანიზებას, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოსავლენად საჭირო ყველა პირობის შექმნას და მათ დახმარებას პრაქტიკის პერიოდში წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში; სასწავლო პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ინფორმაციის თავისუფლების განვითრების ინსტიტუტი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს მათ დასაქმებას;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და წარმოებაში. აგრეთვე, პროექტების და კონფერენციების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

3.2 უნივერსიტეტი:

ა) სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის ნაყოფიერად და წარმატებულად გავლის მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებამოსილი პირის აქტიურ თანამშრომლობას სასწავლო

პრაქტიკის კოორდინატორთან და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს პრაქტიკის პერიოდში წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და წარმოებაში. აგრეთვე, პროექტების და კონფერენციების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

მუხლი 4. დამატებითი დებულებები

4.1. ეს მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4.2. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის თაობაზე მემორანდუმში ცვლილებების შეტანამდე არა უგვიანეს ერთი თვისა აცნობოს მეორე მხარეს.

4.3. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის ერთი ეგზემპლარი.

მხარეთა რეკვიზიტები

ა(ა)იპ-,,ინფორმაციია თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“	შ.პ.ს. ,,საქართველოს უნივერსიტეტი“
დირექტორი: გ.კლდიაშვილი	რექტორი: მ.სანაძე
----------	----------